დასკვნა.

ყოველივე ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, სამშენებლო ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით, ისე როგორც ნაჩვენებია წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციულ და არქიტექტურულ ნაწილებში, მოცემულ ფართში სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია და იგი არ შეუქმნის საფრთხეს ერთიანი სენობის მდგრადობას.

ინჟინერ-კონსტრუქტორი: დ.მანჯგალაძე



შ.პ.ს. "ბილდერს ცენტრი"
ტელ: 592 52 42 42
ელ-ფოსტა:builders.centre@hotmail.com



LLC "builders centre"
Tel: 592 52 42 42
Email: builders.centre@hotmail.com

27.03.2019.

კონსტრუქციული დასკვნა

მდგრადობასა და საიმედოობაზე

ქ. თბილისი, ვ. აბაშიძის ქ. №4, (ს/კ 01.15.04.016.003.02.003) ოთარ შავლაშვილის (პ/ნ 01901124594) საკუთრებაში არსებულ ფართში ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების კონსტრუქციული შესაძლებლობის საექსპერტო დასკვნა.

ბ-ნი ოთარ შავლაშვილის თხოვნის საფუძველზე შ.პ.ს. "BUILDERS CENTRE "-ის სპეციალისტებმა შევისწავლეთ ზემო აღნიშნულ მისამართზე არსებული შენობის მდგრადობა და ჩასატარებელი სამუშაოების მიზანშეწონილობა.

შენობა წარმოადგენს, ლენტურ საძირკვლიან, სარდაფის მქონე, წითელი აგურით ნაშენებ, ორ სართულიან ნაგებობას. ვიზუალური დათვალიერებისას გაირკვა, რომ შენობაზე ახლო წარსულში ჩაუტარებიათ გამაგრებითი სამუშაოები. კერძოდ, გამაგრდა საძირკვლები რ/ბეტონით. ხის იატაკებში ჩაემატა ლითონის 160მმ.–იანი შველერები და ორტესებრი კოჭები. დღეის მდგომარეობით, ფართის იმ ფრაგმენტში სადაც ჩასატარებელია სარეკონსტრუქციო სამუშაოები, არ არსებობს კედლები.

დამკვეთის სურვილია, მოაწყოს სველი წერტილები, ტიხრები და გაამაგროს ფასადის ფანჯრის ღიობები.

ამისათვის საჭიროა: იქ სადაც უნდა მოეწყოს სველი წერტილები , იატაკებში ლითონის შველერებს შორის მოიქსოვოს არმატურის ბადეები, რომლებიც დაეყრდნობა 160მმ.–იან შველერებს, ისე როგორც ნაჩვენებია თანდართულ კონსტრუქციულ სქემებზე და ჩაისხას 300 მარკიანი ბეტონი. ტიხრები მოეწყოს მსუბუქი სატიხრე ბლოკით (სიგანე 15სმ.) და დაეყრდნოს ლითონი შველერებს.

ფანჯრის ღიობების გასამაგრებლად საჭიროა, ღიობების ზედა ნაწილში კედლის ორივე მხარეს ჩამონტაჟდეს ლითონის 1.42მ. სიგრძის ლითონის 80X80X4მმ.–იანი კუთხოვანები. რომლებიც ერთმანეთთან შეკავშირებული იქნება (ელ. შედუღებით) 80X4მმ.–იანი ზოლოვანებით, ბიჯი 150მმ.